



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 10
28/02/2018

10-06-4-201802282028



განკარგულება №10 28 თებერვალი 2018 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%-ის მიერ პეტიციის სახით ინიცირებული „მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის“ - შემუშავებისა და შესწავლის მიზნით საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, 86-ე მუხლის მე-11 ნაწილის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 120-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%-ის მიერ პეტიციის სახით ინიცირებული „მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის“ - შემუშავებისა და შესწავლის მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საკრებულოს მორიგ სხდომაზე შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი და დამტკიცდეს მისი პერსონალური შემადგენლობა.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას (ეროდი გორდელაძეს) დაევალოს:


ა) საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარადგინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%-ის მიერ პეტიციის სახით ინიცირებული „მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის“ - შემუშავებისა და შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და მისი პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი.

3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ 5 დღის ვადაში აცნობოს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო